

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

*ISSN 1512-150X*

ძველი ქართული ენის კათედრის  
შრომები

XXXI

Proceedings of the Chair of the Old  
Georgian Language



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

Tbilisi University Press

თბილისი 2004 *Tbilisi*

ვინფრიდ ბოლერი

ლექსიკალიზაციის ნიმუშები\*

ყველა ადამიანურ ენაში არსებობს გარკვეული პრინციპები, რომელთა მიხედვითაც რომელიმე მოვლენის შემადგენელი ნაწილები და სახეები წინადადების სხვადასხვა კომპონენტების მეშვეობითაა კოდირებული. ამ პრინციპებიდან ზოგი მეგად თუ ნაკლებად უნივერსალურია. მაგალითად, რომელიმე სიტუაციის ინდივიდუირებადი და უცვლელი (კონსტანტური) კომპონენტები ძირითადად არსებითი სახელებით გამოიხატება. მაგრამ არსებობს ისეთი პრინციპებიც, რომლებიც ენებს ერთმანეთისაგან განასხვავებს და რომლებიც გიპოლოგიურადაა საინტერესო, რადგან ისინი რამდენიმე ერთმანეთისაგან ლოგიკურად დამოუკიდებელ დარგში და სხვადასხვა დონებზე მოქმედებენ, მაგალითად, ერთი მხრივ, გრამატიკაში და, მეორე მხრივ, ლექსიკაში. გრამატიკისა და ლექსიკის ამგვარი მიმართება გიპოლოგიაში აქამდე არცთუ ისე დიდ როლს ასრულებდა.

ლექსიკოლოგიას საქართველოში დიდი და ძველი გრადიცია აქვს. ზურაბ სარჯველაძეს ორივე სფეროში დიდი შრომა აქვს გაწეული: როგორც ისტორიულ გრამატიკაში, ასევე ძველქართულ ლექსიკოლოგიასა და ქართველურ ეტიმოლოგიაში. ქვემოთ მოგანილი მოსაზრებებით პატივი მინდა მივაგო ძვირფასი მეგობრის ხსოვნას. უპირველეს ყოვლისა, მინდა დავსვა საკითხი, თუ რა კომპონენტები შეიძლება მოთავსდეს ქართულ ზმნაში: უღლებისა და წარმოქმნის ელემენტებში და, რაც მთავარია, ძირში, და კითხვა, მოქმედებს თუ არა ამ ელემენტების შერჩევისას გარკვეული პრინციპები, რომლებიც სისტემურად განსხვავდება სხვა ენებში მოქმედი პრინციპებისაგან. მე ზმნის ყველა კატეგორიას არ შევეხები, მხოლოდ რამდენიმე თავისებურებას ვახსენებ, განსაკუთრებით რომ გვეცემა თვალში სხვა ენებთან შედარებისას.

როცა ქართველურ ზმნას ევროპულ ენათა უმრავლესობის ზმნას ეუდარებთ, პირველ რიგში, პირიანობის უფრო დიდი მნიშვნელოვნება იქცევა ყურადღებას. ამას განეკუთვნება არა მხოლოდ აუცილებლობა პირის შემცველობისა ყველა წინადადების შემასმენელში (უფრო ვიწრო გაგებით – ინფინიტივის არქონა), არამედ, უპირველეს ყოვლისა, მიდრეკილება პოლიპერსონალურობისკენ, როგორც, მაგალითად, წინადადებაში: მწყემსს ჯოხი მოგიშვერინე ხბოს / ხბოსთვის (ავთანდილ არაბულის მიხედვით; ბოლერი, 2002: 96-97, შენიშვნა 22). აქ სასახვისო ქცევა პირიანობას განაგრცობს. საერთოდ, ქცევა არის საშუალება პირიანობის გასაგრცობად: იგი არა მხოლოდ პოსესორს „ჩაენაცვლება“ ზმნის არგუმენტით (როგორც

\* დიდად ვმადლობ რეზო კიკნაძეს, რომელმაც ეს სტატია თარგმნა და გაასწორა. შეცდომები ჩემია!

წინადადებაში: *თმას მიკრეჭს* = ჩემს თმას კრეჭს, და სხვა) უფრო ხშირად, ვიდრე მაგ. გერმანული (წინადადებას *შვილს გიქებს* პირდაპირი ეკვივალენტი არ აქვს), არამედ აგრეთვე ადგილის გარემოებებსაც (*მიზის* = მის ჩემთან, *მაზის* = მის ჩემზე, და სხვა). ეს ესაგყვისება ქართულისა და აგრეთვე ბევრი სხვა კავკასიური ენის ზოგად გენლენციას – მზნის არგუმენტად აქციოს წინადადების რაც შეიძლება მეტი კომპონენტი (შდრ.: ნიკოლსი, 1984). ამის ერთი მაგალითია უკვე ლეეგერსის მიერ (1931: 97) მითითებული მზნები, რომლებსაც ქართულში ირიბი და პირდაპირი დამატება აქვს და რომელთა ირიბ დამატებას ევროპული ეკვივალენტების უმრავლესობაში პირდაპირი დამატება შეესაგყვისება, ქართულ პირდაპირ დამატებას კი – თანდებულისანი შესიგყვება, ე.ი. არა-არგუმენტი: *ჰერა მას ხელი* = გერმანული *Er schlug ihn mit der Hand*; *ეკითხე მას საქმე* = *Ich fragte ihn nach einer Sache*; *ეუპყარ მას ხელი* = *Ich ergriff ihn bei der Hand*; *ვასუ მას წყალი* = *Ich tränkte ihn mit Wasser*. აქვე უნდა ვახსენოთ კაუმაგივი, ქართულში სისტემურად განვითარებული მორფოლოგიური კატეგორია სიგყვათწარმოებისა, რომელიც ვალენცობას ანუ პირიანობას ზრდის: *ის წერს მას* > *ის მას აწერინებს მას*. კაუმაგივი იმ ფორმებს განეკუთვნება, რომლებიც ევროპულ ენებში პერიფრაზებით გამოიხატება, მაგალითად, მზნებით, როგორცაა ინგლისური *to cause*, გერმანული *lassen*, და ა.შ. ანალოგიურად გადმოიციემა პოტენციალისი (მაგ., *იჭმევს*) ინგლისური *can*-ით და გერმანული *können*-ით, გუნების ენებითი (*მემღერება*) გამოთქმებით, როგორცაა, მაგ. გერმანული *Lust haben (zu)*, ინგლისური *to feel like* და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ქართულში საქმე გვაქვს გრამატიკულ კატეგორიებთან, რომლებიც, სემანტიკურად და სხვა ენების კუთხიდან თუ შევხედავთ, ბემდგომ შემასმენელებს უფრო გამოხატავენ, რომლებსაც წინადადების დანარჩენი ნაწილი ექვემდებარება (X იწვევს იმას, რომ...; შესაძლებელია, რომ...; X-ს უნდა...). ეს ნიშნავს, რომ აქ, სადაც სხვა ენებში რთული, მაქვემდებარებელი სტრუქტურები იჩენს თავს, ქართულს ერთ წინადადებაში ან ერთ მზნაში შერწყმა ურჩევნია.

აქამდე განხილულ შემთხვევებში დამატებითი აქტანტები და დამატებითი შემასმენელები გრამატიკული ხერხების მეშვეობით მზნის შემადგენელი ნაწილები ხდება. ამ დროს გამოყენებულია მხოლოდ უღლებისა და სიგყვათწარმოების მორფოლოგიური რესურსები. მაგრამ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პროპოზიციის დამატებითი კომპონენტები ძირად გვევლინება, როგორც, მაგალითად, ნასახელარ მზნაში: *მეფობს* – „მეფედ მოქმედებს, იქცევა“. აქ აქტანტი *მეფე(დ)* იქცა ფუძედ და ვითარებითი ბრუნვის მნიშვნელობა („essiv(e)“, როგორც წინადადებაში „*ექიმად მუშაობს*“) გადმოიციემა მზნის სიგყვათწარმოების ხერხით, სუფიქსით -ობ; შდრ.: *მარქსისგ-ობ-ს*, *აბრაგ-ობ-ს*, *მასპინძლ-ობ-ს*, *ყარაულ-ობ-ს*, *ბავშვ-ობ-ს*, *ცოცხლ-ობ-ს*, *ანც-ობ-ს*, *მამ-ობ-ს*, *ძმ-ობ-ს*, *მასწავლებლ-ობ-ს*, *მეგობრ-ობ-ს*, *მგრ-ობ-ს*, *ლოთ-ობ-ს*. რამდენიმე მაგალითი ნორვეგიული ქართველოლოგის ჰანს ფოგის გრამატიკიდან (1971: 140) შთამბეჭდავად გვიხატავს ამ სიგყვათწარმოების მნიშვნელობას: *ენა იმდენადვე ენობს, რამდენადაც იგი ასეთ კოლექტივს ემსახურება* (ა. ჩიქობავა); *უმათოდ*

*სიგყვები აღარ სიგყეობენ* (ა. ჩიქობავა); *თუ ხალხი ხალხობს, თავისას შეასრულებს... ხალხმა იხალხა და შეასრულა* (მ. ჯავახიშვილი); *ბიჭები კი არსენობენ* (მ. ჯავახიშვილი). ის, რომ ამ ზმნებში ვითარების („ესივის“) აქტანტი ზმნის შემადგენელი ნაწილი გახდა, იქიდანაც ჩანს, რომ ეს აქტანტი, როგორც ეცყობა, კიდეც ერთ ვითარებით დამაგებას არ უშვებს: \**დეკანობს ენისა და ლიგერატურის ფაკულტეტის დეკანად*. ეს სიგყვათწარმოება შეიძლებოდა ეგრეთ წოდებულ კონვერსიისთვის შეგვედარებინა (ინგლისური to nurse ‘to work as a nurse’, to bottle ‘to put a liquid into a bottle’, to coat ‘to cover something with a coat’, to peel ‘to remove the peel’). მაგრამ არის ერთი განსხვავება: ამ ზმნების მნიშვნელობა ინგლისურში დამოკიდებულია შესაბამისი საგნების გიპიურ მოხმარებაზე, ე.ი. უნდა ვფლობდეთ ზოგად ცნობას იმის შესახებ, თუ რა გიპიური გამოყენება აქვს ბოთლს, რომ bottle-ის გაგება შევძლოთ (კარიუსი, 1985). ქართულში სიგყვათწარმოების -ობ სუფიქსით მიღებული გიპი პიროვნების სახელდების დროს აღნიშნავს „X-ად მოქმედებას, ქცევას“. ამის გვერდით არსებობს კიდეც -ობ-იანი ზმნები, რომელთა ძირი პიროვნებას არ აღნიშნავს, მაგ. თამაშ-ობ-ს, ბაქიბუქ-ობ-ს. ამ შემთხვევაში სემანტიკური სტრუქტურაა: „X-ს აკეთებს, ასრულებს“. ამგვარი ასობით ზმნა არსებობს (ჯორბენაძე, 2001). მსგავსი გიპის ზმნებს ზმნისწინი შეიძლება წაემძღვაროს, რომელიც რომელიმე მიმართულებით მოძრაობას აღნიშნავს, მაშინ როცა პირი მოძრაობის გიპზე ან მის თანმხლებ ვითარებაზე მიგვითითებს (შდრ.: ქურდაძე, 2002). აკადემიის განმარტებითი ლექსიკონი ამ გარემოებებს მათი შესაბამისი მოქმედებით ახასიათებს: *მილაპარაკობს* „მიღის ლაპარაკით“, *მილიღინებს* „მიღის ლიღინით“. აქვეა სახსენებელი სხვა ზმნები: *მიბარბაცებს* „მიღის ბარბაციით“, *მიკუნგრუმებს* „მიღის კუნგრუმით“, *მილუღუნებს* „მიღის ლუღუნით“, *მიგირის* „მიღის გირილით“ (შდრ.: ბოედერი, 1992: 382), *შეიგყუებს* „მოგყუებით შეიყვანს“. ზოგ ზმნას, მაგ., შე- ზმნისწინი აქვს: *შერბის, შეფრინდება, შესრიალდება, შებობდება, შებრაზუნდება, შეგრიალდება, შეფორთხდება, შეფოფხდება, შეფრაგუნდება*. ამ თვალსაზრისით მიმართვის ზმნები მიმართულების აღმნიშვნელად გვევლინება; სიგყვები მეგაფორულად საგნებია, რომლებსაც მთქმელი აღრესაგისკენ მიმართავს: *შევედრება* „ვედრებით მიმართავს, შემშუველებს „მშუილით შეეხმიანება“, *შეკვენესის* „კვენესით ეუბნება“, *შესტიკტიკებს* „ტიკტიკით მიმართავს“ და ა.შ. მაშასადამე, აქ „ზმნისწინი + X“ ნიშნავს: „მოძრაობს / ამოძრავებს X + მოქმედებითი“. „*შეფობს*“ გიპის მსგავსად, გარემოების აღმნიშვნელი ერთეული ზმნის ძირად იქცა.

ახლა უფრო კომპლექსური მაგალითი განვიხილოთ:

*ქლარუნ-ით შე-გრიალ-დ-ა სოფელ-ში* (ქეგლ)

აქ ორი რამ შეიმჩნევა:

1. თუ ვივარაუდებთ, რომ ვითარებითი გარემოება „*გრიალით*“ შეთავსების გზით ზმნის შემადგენელი ნაწილი გახდა, მაშინ როგორღა აიხსნება *ქლარუნ-ით* გარემოების დამაგება? ინგლისურში, მაგალითად, შესიგყვებაში to hammer with a sledge ხდება სიგყვა sledge-ით ცნება hammer-ის დამუსგება ან დაკონკრეტება ზმნაში to hammer („a sledge is a sort of hammer“; კარიუსი, 1985) და სიგყვა hammer-ით ცნება sledge-ის კლასიფიცირება (მითუნი,

1984). მაგრამ *ქლარუნ*-ი ცნება *გრიალ*-ის სპეციფიკაციას არ ახდენს, *ქლარუნ*-სა და *გრიალ*-ს კოორდინირებული ეთქმის: *ქლარუნითა და გრიალით შევიდა*. ამ ორი მოქმედებითიდან მხოლოდ ერთი შეიძლება მოთავსდეს ზმნაში. ანალოგიურადაა საქმე შემდეგ მაგალითში:

*მგზავრ-ებ-ი წყნარ-ად მი-ლაპარაკ-ობ-დნენ*(ქეგლ)

აქ *წყნარ*- ვერ მოთავსდება ზმნაში, მიუხედავად იმისა, რომ *ლაპარაკობს*-ს ეკუთვნის: წყნარი ლაპარაკით მიდიოდნენ.

2) წინადადებაში *ქლარუნ-ით შე-გრიალ-და სოფელ-ში* ორ პროპოზიციასთან გვაქვს საქმე: *შევიდა სოფელში + იგრიალა*. მაგრამ ამ პროპოზიციებიდან მთავარი რომელია? აშკარაა, რომ *შევიდა სოფელში* გემდგომი პროპოზიციაა. *შევიდა* მართავს ვალენგობას; *სოფელში* აღნიშნავს შესვლის მიმართულებას, *იგრიალა*-სთან არანაირ მიმართებაში არაა, მდრ.: *მიგრიალებს სოფლისკენ, მიდის სოფლისკენ და გრიალებს*, მაგრამ: *\*გრიალებს სოფლისკენ. ბოლოს და ბოლოს შეგრიალდა სოფელში* ნიშნავს: „ბოლოს და ბოლოს შევიდა სოფელში“ და არა „ბოლოს და ბოლოს იგრიალა“ და ა.შ. აქედან ჩანს, რომ საქმე პროპოზიციის განსაკუთრებულ სახესთან გვაქვს: ფუძე და ულლება განეკუთვნება დაქვემდებარებულ (დამოკიდებულ) პროპოზიციას (ჩვენს მაგალითში ფორმას – *გრიალდა*, მდრ.: *აგრიალდა*), მაგრამ ზმნისწინი ბედგომ პროპოზიციას ეკუთვნის (შე- ზმნისწინი *შევიდა*-ში). ზმნისწინი სიტყვათწარმოების ხერხია და აღნიშნავს „გზას“ („path“ ინგლისურენოვან გერმინოლოგიაში).

ჩვენს მაგალითში მოვლენის სამი ძირეული კომპონენტი ვნახეთ: მოძრაობა, მოძრაობის გზა და ვითარება, ანუ თანმხლები გარემოება. ეს კომპონენტები ქართულში, გერმანულსა და ინგლისურში (მის „არარომანიზებულ“ ნაწილში) ასე ნაწილდება: მოძრაობა ზმნის თხზვით გამოიხატება, ვითარების გარემოება – ზმნის ძირით, ხოლო გზა – ზმნისწინით. განაწილების ეს სახე როგორც სალექსიკალიზაციო გიპი უნივერსალური სულაც არაა. ლეონარდ გალმიმ (თალმი, 1985, 2000; სლობინი, 1998) კომპონენტთა განსხვავებული განაწილების გამო მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში ენების ორი გიპი გამოყო: ერთი მხრივ – ქართული, გერმანული და სხვა ინდოევროპული ენები (რომანული ენების გამონაკლისით), უგრო-ფინური, ჩინური და ა.შ. ამ ენების ზმნაში მოძრაობა და ვითარების გარემოება ერთ მთლიანობას შეადგენს, მაშინ როცა „გზა“ ზმნის თანმხლებ ერთეულში („satellite“-ში) გამოიხატება, ჩვენს შემთხვევაში – ზმნისწინში. ამ ენებს გალმი „satellite-framed languages“-ს უწოდებს. მეორე მხრივ, გალმის მიხედვით, არსებობს ენების მეორე გიპი, რომელსაც განეკუთვნება რომანული და სემიტური ენები, ბანგუს ენები, იაპონური, გამილი და სხვანი, სადაც მოძრაობა და „გზა“ ზმნაში თავსდება. ხოლო ვითარების გარემოება წინადადების ცალკე წევრით გამოიხატება, მაგალითად, გერუნდიუმით ანდა „კონვერბით“. ამ ენებს გალმისთან „verb-framed languages“ ჰქვია. ინგლისურისათვის ნაკლებად დამახასიათებელია: *The bottle entered the cave floating*. უფრო ბუნებრივია: *The bottle floated into the cave* (თალმი, 2000: 227), მაგრამ ესპანურშია: *La botella entró flotando a la cueva*. ქართულ-ფრანგულ ლექსიკონში (გვარჯალაძე, ლებანიძე, 1971) ბევრი ისეთი შემთხვევა გვაქვს, სადაც

ქართული ძირის სალექსიკონო ეკვივალენტად ფრანგულში გერუნდიუმი ან ვითარების გარემოების შესიგყვება იწერება: *შეგრილება* “*entrer en roulant avec fracas*”, *შეფრენა* “*entrer en volant*”, *შეგორება* “*faire entrer quelque chose en roulant*”, *მიხობება* “*arriver en rampant*”, *შეხობება* “*monter en rampant*”, *მიცოცება* “*s’approcher en rampant*”, *მიპარვა* “*s’approcher furtivement*”, *შეხმობა* “*s’attacher en séchant*”, *მიყვირება* “*s’écrier en s’adressant à quelqu’un*”, *მიხლა* “*parler d’un ton tranchant*”, *მიგელვება* “*arriver au galop*”, *მიყვივნა* “*accourir en toute hâte*”, *მიჯახუნება* “*fermer avec bruit*” და ასე შემდეგ.

ამის საფუძველზე ორი კითხვა იბადება: 1) ნებისმიერია არჩევანი იმისა, თუ რა აისახება გზაში, თუ არსებობს გარკვეული გენდენცია, რომელიც ქართულში შენიშნულ გენდენციას ემთხვევა? ან როგორ მიემართება ქართული სხვა ენებს, როგორიცაა, მაგ., გერმანული? ორივე მათგანი “satellite-framed” ენებია, მაგრამ *მილიდინობს* გიპის გზა გერმანულში მაინც შეუძლებელია. 2) არსებობს თუ არა გრამატიკული თავისებურებები ქართულში, რომლებიც გზის ლექსიკალიზაციის თვისებებთანაა დაკავშირებული?

1) სტრუქტურის ძირითადი ნიშნები ქართული და გერმანული გზისწინიანი გზებისა ერთი და იგივეა. მაგრამ, მსგავსად იმისა, რომ ქართული მეგირიბი ობიექტს აწარმოებს, ვიდრე გერმანული, ასევე მოძრაობის გზისწინიანი გზები ქართულში მეგად გამოიყენება, ვიდრე გერმანულში. საქმე ისაა, რომ ვითარების გარემოების გამოთქმათა სემანტიკა მეგ-ნაკლებად მჭიდროდ არის დაკავშირებული შესაბამის მოძრაობასთან. გზაში *მიბარბაცებს* მოძრაობის პროცესი მჭიდრო კავშირშია იმასთან, თუ როგორ და რა ვითარებაში ხდება ეს მოძრაობა. შეგრიალდა გიპის გზებში კი მოძრაობის სახე შესაბამის ხმაურთან ამდენად უკვე აღარაა დაკავშირებული, თუმცა მოძრაობასა და ხმაურს შორის ერთგვარი კაუზალური დამოკიდებულება არსებობს (მოძრაობა ხმაურს იწვევს). ამის საპირისპიროდ, *მილიდინობს* გზის შემთხვევაში ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პროცესთან გვაქვს საქმე: კაცს შეუძლია ილიდინოს მოძრაობის გარეშე და, პირიქით, იმოძრაოს ილიდინის გარეშე. ასე რომ, ქართულსა და გერმანულში საქმე გვაქვს ერთი და იმავე სტრუქტურული პარადიგმის სხვადასხვა დიაპაზონით გამოყენებასთან: ორივე ენას აქვს ირიბი ობიექტები, მაგრამ ქართულს – მეგი; კონსტრუქციებს: *ხელი ჰკრა მას, მიზის, შვილს გიქებს* და ა.შ. გერმანულში ანალოგიური ეკვივალენტი არ მოეძებნება (თვით ქართულური ენებისა და ქართული დიალექტების შიგნით არსებობს სხვაობები ამ თვალსაზრისით). ორივე ენას შეუძლია გზისგარეშე ვითარების გარემოებები გზის ფუძედ გაიხადოს, მაგრამ ქართულში იმ ვითარებების შეთვისებაც დაშვებულია, რომელთაც მოძრაობის პროცესთან სემანტიკური კავშირი არა აქვთ. სხვა სიგყვებით რომ ვთქვათ, იმის არჩევის დროს, თუ რა შეიძლება გამოიხატოს გზაში, ადგილი აქვს იმპლიკაციურ დამოკიდებულებას: რაც უფრო მჭიდროა სემანტიკური კავშირი მოძრაობასა და ვითარების გარემოებას შორის, მით უფრო ადვილად ხდება გარემოების შეთვისება, და ქართული ამ შესაძლებლობის უფრო ვრცელი დიაპაზონით სარგებლობს, ვიდრე გერმანული.

2) ქართველური ენები სხვა კავკასიური ენების უმრავლესობისგანაც და, ვთქვათ, თურქულის მსგავსი ენებისგანაც განსხვავდება იმით, რომ მათ გერუნდიუმი ან რამე მსგავსი არ გააჩნიათ, თუმცა კი შესაძლებელია მასდარის მოქმედებითში გამოყენება (შელის გრიალით), მაგრამ მასდარი ზმნური ფორმა კი არ არის, არამედ სახელი. ასე რომ, არ არსებობს წინაპირობა რომანული ან თურქული გიპის სგრუქტურებისთვის. ენის შედარებითი გიპოლოგიის ამოცანაა, შეისწავლოს ეს და სხვა დამოკიდებულებები (შლრ. ამასთან დაკავშირებით – ბოედერი, შროედერი, 1998).

საინგერესო საკითხია, თუ რა საკომუნიკაციო ფუნქცია უღევს იმას საფუძვლად, რომ მოძრაობის პროცესი კოდირებისას მხოლოდ ზმნისწინზე დაიყვანება და თანმხლები მოქმედება ლექსემატური ბირთვი ხდება; ეს უთუოდ სრული და რედუცირებული კოდირების იკონურ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული. წინა თუ უკანა პლანზე გადაწევის ეს მოვლენა ერთი-ორჯერ უკვე შენიშნულიც ყოფილა ობიექტის ზმნაში ინკორპორაციის შემთხვევაში.

ჩანს, რომ ენის ერთმა გარკვეულმა გიპმა შეიძლება ისარგებლოს სულ სხვადასხვა სინგაქსური, მორფოლოგიური და ლექსემატური საშუალებებით, რომლებიც კონვერგენციის გზით ერთ წერტილში იყრის თავს და ამით ხაზს უსვამს გიპის ერთგვაროვნებას. ჩვენს შემთხვევაში ამ კონვერგენციის შედეგია ზმნაში ინფორმაციის მაქსიმალური ცენტრალიზება. დავინახეთ ისიც, რომ ერთი გიპის სხვადასხვა ენები ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს იმით, თუ რამდენად გამოიყენებენ ისინი ხსენებულ საშუალებებს.

### ლიტერატურა

ბოედერი – Boeder, Winfried 1992: „Die Metapher des Raums in den georgischen Präverbien“, in: Catherine Paris (ed.): *Caucasologie et mythologie comparée*. Actes du colloque international du C.N.R.S. – IV<sup>e</sup> colloque de caucasologie (Sèvres, 27-29 juin 1988). Paris: Peeters, pp. 375-390.

ბოედერი – Boeder, Winfried – Christoph Schroeder 1998: „Attribution und sekundäre Prädikate im Sprachvergleich: Deutsch, Englisch, Kurdisch, Georgisch, Türkisch“, *Sprachtypologie und Universalienforschung* (STUF) 51: 207-227.

გვარჯალაძე, ლებანიძე – გვარჯალაძე ისიდორე, ეთერ ლებანიძე 1971: ქართულ-ფრანგული ლექსიკონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

დეეტერსი – Deeters, Gerhard 1930: *Das kharthwelische Verbum*. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen (=Sächsische Forschungsinstitute, Leipzig. Forschungsinstitut für Indogermanistik, Sprachwissenschaftliche Abteilung. Band I). Leipzig: Markert & Petters.

თალმი – Talmy, Leonard: „Lexicalization patterns: semantic structure in lexical forms“, in: Timothy Shopen (ed.): *Language Typology and Syntactic Description. Volume III: Grammatical categories and the lexicon.* Cambridge...: Cambridge University Press, 1985.

თალმი – Talmy, Leonard: *Towards a Cognitive Semantics. Volume II: Typology and Process in Concept Structuring.* Cambridge, Mass. – London: MIT Press, 2000.

კარიუსი – Karius, Ilse: *Die Ableitung der denominalen Verben mit Nullsuffigierung im Englischen* (=Linguistische Arbeiten 159). Tübingen: Niemeyer, 1985.

მიტუნი – Mithun, Marianne: „The evolution of noun incorporation“, *Language* 60: 847-894, 1984.

ნიკოლსი – Nichols, Johanna: „Direct and oblique objects in Chchen-Ingush and Russian“, in: Frans Plank (ed.): *Objects. Towards a theory of grammatical relations.* London...: Academic Press, pp. 185-209, 1984

სლობინი – Slobin, Dan I.: *Verbalized events: a dynamic approach to linguistic relativity and determinism* (=LAUD, Series A, Paper No. 449). Essen: Universität Gesamthochschule, 1998.

ფოგტი – Vogt, Hans: *Grammaire de la langue georgienne* (Institutet for Sammenlignende Kulturforskning Serie B: Skrifter 57). Oslo: Universitetsforlaget, 1971.

ქეგლ = არნოლდ ჩიქობავა et al. (edd.): ქართული ენის განმარგებითი ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა / მეცნიერება.

ქურდაძე – ქურდაძე რამამ: მოძრაობის (გადაადგილების) აღმნიშვნელი გზნების სემანტიკისათვის ქართულ სალიგერაგურო ენასა და ღიალექტებში. შოთა ძიძიგური 90. თბილისი: თსუ გამ-ბა, 91-96, 2002.

ჯორბენაძე – ჯორბენაძე ნინო: -ობ თემისნიშნიან საშუალი გვარის გზნათა უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისათვის, ფილოსოფიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები 5: 28-31, 2001.